

ი. გრიშაშვილი — თათრის ქალი სუფსარძისში

ი. გრიშაშვილი — შაცვარას

ვოტე მაყაშვილი — რომანსერო

ვოტე მაყაშვილი — * * *

ვოტე მაყაშვილი — Panta rei

ოშოლი შუშა — 1921 წლის გარდაცვალებაზე

ვარლამ რუსაძე — რკინის ვანონი

ვასილ შარნოვი — სადედოფლო სარტყელი

ვოწია გამსახურდია — თეოდორე დოსტოევსკი

სელოვნების შატიანე

ფასი ისი

19 8/I 22

ი. ბრიმაშვილი

თათრის ქალი სუფსარქისში

შენმა ყაბარჩამ უცხო რანგი ვერ შეითვისა,
დადიხარ მუდამ სუფსარქისში, ჩემო ლამაზო,
ინახავ წუმსა, რომ ლოცვებით შემოიკმაზო,
მაგრამ რად გიყვარს შენ, თათრის ქალს, ხატები სხვისა!
შენი კბილები მძივებია სუფსარქისისა,
თვალი-მაშხალა, ფეხი-ყანწი, ხმა მუხამბაზი
შენს დასაპყრობად ალბათ მოვა კვლავ შახაბაზი,
რომ ტკბილის ნუღლით ამოგივსოს მკერდი ქისისა.
როცა გიყურებ, შენი თვალი არ ტოკავს, არ თრთის
ღვთის მშობლის წინ კი შენ ყვითლდები ვით დოში თართის
ო, შენმა ჩადრმა გული ჩემი ორად გახია,
შევცქერ შენს წარბებს სახარების წაშლილ სტრიქონებს
შენ მგოსნებისგან მოგიმზადებ ჩემნაირ მონებს
და რაც მომივა, დე, მოვიდეს, ჩემზე ახია!

ი. ბრიმაშვილი

პატარას

შენ კი მეტრფი, პატარავ, მაგრამ აბა რალა დროს
ლამის სევდამ ეს სული ამოსწვას და დაღადროს
ლამის კუბოდ გადმექცეს ზეციური თაღანი
ლამის მზეც კი დავწყევლო, მთვარის ავანჩავანი
აღარა მაქვს სიცელქე, აღარა მაქვს ხალისი
და ლოთი ვარ ლექსისა, ლოთი მესაბრალისი...
ჩემი ძველი ალერსი დრომ თან გადაიყოლა
დამივიწყე, პატარავ, „იყო არა-იყო რა!“
და დღეს როცა ეს გული გამოზრდილი თაფლითა,
მტრის შხამიან ბარდებმა დაგლიჯა და დაფლითა,
როცა სევდამ შეგრაგნა რუქა ჩემი სახისა
და მაშინებს სიჩუმე ჩემივე ოთახისა,
როცა გამოვეთხოვე ჩემს მეგობრებს, ჩემს მიზნებს,
ეხლა ვის რად ვუნდივარ, ეხლა ვინ შემიხიზნებს.
ჩემი ძველი ალერსი დრომ თან გადაიყოლა
დამივიწყე, პატარავ, „იყო-არა-იყო-რა!“
მაგონდება ჩემს რითმებს როცა ვნება დაღლიდა
ამ ქვეყნიურ სიყვარულს მოვუხმობდი მაღლიდან,
მაშინ თვალის ხავერდზე ნამი ჩუმად დნებოდა,
და ქვებიც კი, ღმერთმანი, ვარდათ მეჩვენებოდა,
სად იყავი შენ ამ დროს, საით იდუმალობდი,
ჩემ სიცილის ხეივანს რატომ არა სწყალობდი,
დღეს კი ჩემი ალერსი დრომ თან გადაიყოლა,
დამივიწყე, პატარავ, „იყო-არა იყო-რა!“

კ. მაყაშვილი

რომანსერო

ალერსით ნათელით, თბილით
ნამტირალ თვალების ნამს
მოაშრობს. აინთვის დილით,
ჩაჰქრება მწუხრისა ჟამს.
კოშმარულ ღამისა მთეველს,
ეკლიან გზითა როს ხვალ
გვჯერა, რომ შვებისა მძლეველს
მზე-დედას იხილავ ხვალ...
ტრფობითა ნარნარით, ჩვილით
მემზევა კაეშნის წამს.
ერთმანეთს შევხდით ჩვენ დილით
განვშორდით მწუხრისა ჟამს...
ფითრდება ღამეცა ბნელი
ამოდის მეუღლე ცის
იმავე ადგილზე ველი...
ამაოდ!.. არ მოვა ის!..

კ. მაყაშვილი

* * *

გამიშრნენ ცრემლები, გაქვავდნენ ფიქრები...
ნამქერში ვმარხავ მე სულს!
კაეშნის ლოდის ქვეშ კუბომდის ვიხრები...
არც მიყვარს... აღარცა მძულს!
უფსკრული... იქიდან ვიღაცა მეძახის,
ვიღაცა ჩემთვისა სტირს!..
და უკანასკნელი იმედი მესახვის:
მოვდივარ! ცისაკენ... ძირს!..

კ. მაყაშვილი

Panta rei

ერთი და იგივე: მოდიან, მიდიან.
შფოთავენ, იძენენ... ყველაფერს ჰკარგავენ!
მაგრობენ მთებივით და ბეწვზე ჰკიდიან,
გონებას და გულსა სცლიან და... ჰკარგავენ.
მირაჟთა სინათლე თავში რა დიდია,
ბოლოში.წყდიადი... არც გზა, არც ხიდია!..

ᲛᲘᲮᲔᲚᲘ ᲛᲔᲜᲐ

1921 წლის გადაცვალებაზე

ჩვენ—ქარიშხლებით გულდასერილებს
წაგვიღებს სადღაც დრო უნაპირო.
და თვალდახუჭულ ბედის წერილებს
გააფრენს რაში უუნაგირო.

მსუბუქ ნისლივით გაჰქრება ცაში
ოცნება, ტანჯვა და იმედები.
და ჩვენი სულიც დათვრება მაშინ,
როცა იმღერებს გლოვას გედები.

და ვით თმათეთრი წმინდა ბასილე
მოგონებებით დავიტვირთებით,
თუ საზღვარს როგორ გადავაცილეთ
და ვზიდეთ ჯვარი დაჭრილ თითებით.

საუკუნეთა მთელმა ცოდვებმა
ჩვენს ქედზე უღვთოდ გადაიარა.
და გულგაჩეხილ ერის გოდება
სულმა წამებით გაიზიარა.

ჩვენ სიჭაბუკეც არ გვღირსებია,
ადრე დაგვჩხავლა ყვავმა ბედითმა,
ჩვენის სიცოდვით აივსებიან,
თუ ვეღარ შესძლეს წლებმა მეტი თქმა.

ჩვენ გვეძახოდა ხმა შორეული,
როგორც ოცნების ნაზი ღიმილი.
და დაგვრჩა მხოლოდ ღამე წყეული,
გედების გლოვა და სამძიმილი.

ამ უდაბნოში უკვდავებისთვის
უკანასკნელად სული ენთება.
და ვიტანჯებით ციურ ხმებისთვის:
ოდესმე სადმე გაგვითენდება.

წამების ჯვარით წელში მოხრილებს
გვაფარებს რიდეს დრო უნაპირო.
და მოგონებით თეთრად მოსილებს
მიგვაფრენს რაში უუნაგირო.

ვ. რუხაძე

რკინის კანონი

(რითმა ნაკლები)

ეს საუკუნე ფოლადის მკერდით
და მოელვარე რკინის თვალებით,—
ამბოხებათა ცეცხლის ტალ-კვესი,—
მოფრინავს ჩვენსკენ წითელი რაშით
რომ ძველ ქვეყანას აუგოს წესი.
გუგუნებს ალი კიდით კიდემდე,
ზანზარებს მიწა, ირყევა ზეცა
და ეკარგებათ ძველ ლმერთებს ფასი,
დღემდე ჩვენს გულში რომ ედგათ ტახტი,—
და იწერება ახალი მრწამსი.
არის ჰიდილი ორ ქვეყნის შორის
დაუნდობელი და საშინელი
ურთერთს მუსრავენ ადამის ძენი
და სისხლის სუნით გაჟღენთილია
ჰაერი, მიწა—სამყარო ჩვენი.
ახლოა წამი საბედისწერო
და მის წინაშე კაცის გონება,
ვით საფლავის წინ, თრთის და კანკალებს,
ეჭვთა ბრჭყალებში გამომწყვდეული,
თითქო წააწყდა შაკბნელ ნაპრალებს.
ცხოვრება კი სდგას, წინ მიისწრაფის,
ისმის გრიალი მძვინვარ ტალღათა
და ბრძანებს: „თქვენ, ჰე! ვისაც გშურთ შველა,
ჩქარის ნაბიჯით იარეთ წინ-წინ:
წინ სინათლეა, „უკან კი ბნელა!“
და ჩვენც მივდივართ. საით, ან ვისთან,—
არა გვაქვს კარგად გამორკვეული,
მაგრამ დარჩენაც არ შეიძლება:
ასე გვიბრძანა მეფე ცხოვრებამ
და მისი სიტყვა ვით შეიცვლება!

1920 წ. 1 მაისი.

სადედოფლო სარტყელი

„ჰაი, შე უშნოვ! როგორ უმიზნებ?! მთელი ნაბიჯი ასცდა ჯილა!
„კარგი, გიგო, თუ ძმა ხარ! ახლა შენ დამნავსე... ისეც წაგებაში ვარ.
„მაჩვენე კოჭი!.. მარცხენა ჩაგიტყვიანებია. მარჯვენა უნდა, რომ ცერი დაენდოს თოხანს, სალოკი ახვდება ეხლა გლუვ მხარეს, სხლტება სროლის დროს...
„გეყოფა ერთი! ძალიან მასწავლებელი გამოხვედი... დასხი შენც! გინდა?
„დავსხამ!—არ კი მიშაროთ: ძალიან მშიან, მეხუთე გაკვეთილიდან მოვდივარ; მარტო ერთ ხელს ვითამაშებ: წავაგებ, ალალი იყოს; მოვიგებ, წავალ.
„ხუთხუთია!
ჩაამწკრივეს კაკლები. სულ დაბროლილი იყო. დიდი წრის შემოვლება დასჭირდათ: ბევრი იყო მოთამაშე ტოლ-სწორი. ყარეს კოჭი, ვის როდის ესროლნა, ამოიღო გიგომ ჯილა, ვერძის კოჭი სუფთად ჩატყვიანებული, მცირედ ჭუკწალესილი.
„ასცდა!
„ვაჰ, ნაღლა მომივიდა.
„ასცდა! რომ აუცურებ, არ იცი, ვერ მოარტყავ; მტვრიან მიწაზედ მოცურება?!
„კენწლა! ბეწვის ტოლაც და წრეს გააცილებდა თეთრ კაკალს: ძლიერად მიბზრიალებდა ჯილა.
„ერიჰა! კოჭურით?! ვინ მოგცემს ნებას?!
„არა მაქვს ჯილა!
„აჰა ჩემი!
„აფუ მე! ფეხი წამიცდა...
„არა, ეგენი არ იყოს... ჩამოდეგ!
„ესროლოს, არა უშავს რა.
„ასცდა!
„ჩემი ჯერია! წამოიძახა გიგომ და მოიხსნა წიგნებით სავსე აბგა, გადასცა ამხანაგს.
„ჰახ!
„კიდევ?!
„ჰახ!
„გეყოფა!
„მაცა!
„სულ გაიტანს კაკლებს!
მთლად არა, უმრავლესობა კი გააცილა წრეს. ჩაიყარა კაკლები ჯიბეში, გადიგდო მკლავზედ აბგა. იქვე გაკვნიტა ერთი, პირს იკრა მსუქანი ლებანი. დაეშვა ხტომით შინისკენ.

* * *

მიხტოდა ბავშვი, მიგოგმანებდა; პირი ულიმოდა. კარგი დღე იყო მისთვის: სკოლაში გაუმარჯვდა, ორ საგანში ხუთიანები მიიღო, სხვებს რომ შიმშით თუ შხეპლით ჩააჭდიეს სწავლის საჭიროება და მუხლის თავებით შეაგრძნობინეს მისი აუცილებლობა, იმას ქოჩორზედ გადაუსვეს ხელი. ამისთვისაც მიუხაროდა შინ, რომ კარგ ამბავს მიუტანდა თავის ტოლ-სწორს. ძალიან უყვარდათ იმათ გიგო. ჩვეულნიც იყვნენ კარგ ამბების სმენას მალხაზი ბალღისაგან ნიჭიერისა.
„ვინც პირველად შემხვდება, კაკალს ვაჭმევ მონაგებს, ფიქრობდა.
მიეშურებოდა. შიმშილიც კი მიაჩქარებდა: ჯიბით წამოღებული ყუა დილითვე გაათავა.
მეტადრე გოგოები ევლებოდნენ თავს. ლამაზი ბალღი იყო, მგრძნობიარე, მხიარული; თანაც

უწყინარ-უზაკველი, მთლადაც მისანდობელი. ერიდებოდნენ სხვებს, ავზნიანებს: აღარც ისე პატარები იყვნენ, ქალ-ვაჟთა ზღაპარი სამარადისო მთლად უცნობი ყოფილიყო მათთვის; უკვე ჰქონდათ მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ამ ლამაზ არაკად. ეს უფრო აახლოებდა გოგონებს გიგოსთან. ბრძნულად მოწყობილი ოჯახის შვილი იყო ზნეფაქიზისა და უბნის ტოლ ქალებს ისე უყურებდა, როგორც თავის დებს. არ იცოდა ორაზროვანი ქცევა თუ თქმა, არ ეხერხებოდა; გულწრფელად უყვარდა ისინი, სასწავლებელში სულით მოღლილი იმათში ისვენებდა, ხალისდებოდა. იმათაც გიგოს ნაღველი თავის დარდად მიაჩნდათ, მისი სიამე თავის სიხარულად.

გასცდა დიდ ქუჩას, ჩაუხვია ქუჩაბანდისკენ. შემოეგება ლიზიკო.

„ძლივს არ გამოჩნდი! რამდენი ხანია გიცდი.

„ეხლა გავათავეთ გაკვეთილები.

„სხვა ბალღებმა რათა ხანია გაიარეს.

„ჰო, ერთი ხელობა წრე ვითამაშე ზევით. რა კაკლებია! უთხრა ბალღმა და ამოალაგა ჯიბიდან.

„ნუშოსაც მიეც, ანიკოსაც; დაურიგე, ვისაც გაჰხვდეს.

„შენ?

„გზაგზა ვსჭამდი... კარგ ფეხზედ ავდექ დღეს: ხუთიანებიც მივიღე, კაკლებიც მოვიგე.

„კარგი ხარ და იმისთვის! მეც რამე უნდა გახარო გიცდიდი, რომ პირველად მე მეთქვა.

„მამა ჩამოვიდა? რამდენ ხილს ჩამოგვიტანდა!

„არა. დაიცა! ბატონიანთ ქორწილი აქვსთ ამაღამ, მჭვირვალიანთ: ციაგასა სწერენ ჯვარს.

„ვუყურეთ; საყდარშიც გავყვეთ, როგორ მდიდრულად იქნება მორთული!

„დაიცა, ბიჭო! აღარ ათქმევინებ?! შენიშნა მაგნომ, რომელიც მიეტოლა მათ.

„ის უნდა მეთქვა: ქორწილში შენ დაგიძახებენ.

„სარდაფის მართამა სთქვა, გიგოს დაუძახებენო, ჩაურთო ნუშომ.

„თურმე იმისთვის უნდა დაგიძახონ, რომ სარტყელი შემოარტყა პატარძალს, ჩამოართვა სიტყვა ბაბილომ.

„მართლა?! მაგრამ საიმათო ტამისამოსი რომ არა მაქვს. სულ თავადიშვილები იქნებიან, დიდკაცები... იჰ, არ წავალ!

„შენ გენაცვალე, წადი!

„უნდა წახვიდე! დაათვალიერე ყველაფერი და გვიამბე. ძალიან მდიდრები არიან, სულ ოქროქსოვილში და თვალ-მარგალიტში ჩასვამენ დედოფალს, უბრძანა კონამ.

* * *

მჭვირვალიანი... ციაგა... წადი!.. ადვილი სათქმელი იყო ყველა ეს, მაგრამ ძნელი ასასრულებელი ვიღაც ქუჩის ბიჭისათვის, თუნდაც სკოლაში გამარჯვებულისა.

ორსართულიანი დიდი სახლი მტკვარზედ გადაკიდებული აივნებით; ზევით მხარეს მშვენიერი წალკოტი, ალვის ხეები; ლითონის ლომები ალაყაფის დარაჯად; მარმარილოს კიბეები წითელი სკლატით დაფენილი; სამადლიანი ფანჯრები მთლიანი ბროლისა, მზის სხივებზედ რომ თვალსა სჭრიან ლაპლაპით; ბატონი გრიგოლი გრძელტარიანი ყალიონით, უშველებელი ნაგაზი რომ ახლავს განუშორებლივ. რა მგრგვინავი ხმა აქვს! ახლა იმდენი დიდკაცობა...

„ძალიან მეძნელება; მეშინიან... ციაგას სარტყელიო, უმხლებლოდ რომ არ გაივლის, იმ მზეთუნახავისა... მისი მედიდური ღიმილი დამცინავი... არა!

„წადი, თავს შემოგევლე! შენი ბაბილო არა ვარ?! აბა თვალებში ჩამომხედე და ისე მითხარ უარი.

„შენს ანიკოსაც უარს ეუბნები?! აკი სულ იმას მეტყოდი, შენთვის ქვესკნელის ცეცხლს გავაპობ და დევისაგან დაგიხსნიო, პირყვითელ დევისაგან თვალცეცხლიანისა.

მოდი და ნუ წახვალ, ნუ გაიტეხინებ, შეკრთომა დაიჩინე და შიში!

ერთხანს გაჩუმდა გიგო: კვლავ ყოყმობდა; მერმე წელში გაიმართა, თავი მოიმამაცურა, ქოჩორზედ ხელი გადისვა. მუხლი მაინც უთრთოდა: ძნელ საქმეს უბრძანებდნენ სასტიკი მაცთური ხვეწნით, ლამაზ ალერსით.

„მიდიხარ? აი ყოჩაღ! ისევ ჩვენი გიგო ხარ.

„იცი, გენაცვა, წადი, ისადილე, გაკვეთილებიც დაამზადე. საღამოზედ მოვალთ, რომ გნახოთ, როგორ იქნები ჩაცმულ-დახურული.

„ხალათი გახამებულ პერანგზედ ჩაიცვი: ხელადვე გავავლებ წყალში და გაგიხამებ.

„ღილები ხომ არ აკლია ხალათს? გავსინჯავ, დაგიკერ-დაგიმაგრებ, კიდეც დაგიუთოვებ.

„ჩემთვის უნდა დაეევალებინათ ეგ საქმე, რომ სულ ხტომით წავსულიყავი; მაგდენი ხვეწნა კი არ დამჭირდებოდა, სთქვა ვალიკომ,

რომელიც დიდი ამხანაგე იყო გიგოსი, მაგრამ მაინც შურით უყურებდა ეხლა მის გამარჯვებას.

„შენ რად დაგიძახებდნენ? გიგოსთან როგორ მოხვალ შენ?! ამას ბედნიერი ხელი აქვს.

„ამისი ხელი ბევრჯერა სცადეს და ყველამ იცის, ბედნიერი ხელი აქვს. შენც კარგად იცი ეს და ნება ტყუილ-უბრალოდ რაღად ლაპარაკობ?! შერისხა ის ბაბილომ და ზურგი შეაქცია.

* * *

„რა პატარძლის მომრთავ-მომკაზმი იქნებოდა ვიღაცა ბიჭი და მერმე დიდებულ ოჯახში, ბატონიშვილის სწორი კაცის სასახლეში?! არ მესმის: საკვირველ რასმე ამბობ.

„არც საკვირველს ვამბობ, არც დაუჯერებელს. აღარ თუ გახსოვს ჩვენი ქართული ჩვეულება. მისმინე! ქორწილს ბევრი ჩვეულება ასდევს ზოგი გამოცდილების შედეგი, სხვა ცრურწმენისაგან წარმოშობილი, ზოგი სიმბოლიური, შორიდან მანიშნებელი, ერთ ამ ჩვეულებათაგანია: პატარძალს სარტყელს შემოარტყამს გამთავნებული ოჯახის პირმშო ვაჟი ბალღმრავალ კერისა. გიგო უფროსი შვილი იყო ამგვარ ოჯახისა. მისი მშობლები იღვწოდნენ ფრიად, გულმოდგინედ ასრულებდნენ ეკლესიის ბრძანებას: „განმრავლდი, ვითარცა იაკობ!“ მოგეხსენება, თორმეტი მარტო ვაჟი ჰყვანდა ამ მამათმთავარს; ქალებს აღარა ვსთვლი, გიგოს დედამამას მიზნად დაესახნათ, ებაძნათ იაკობ-რახილისათვის და მიმზგავსებოდნენ მათ. დიდ იმედებსაც იძლეოდნენ: მათი პირმშო რომ ჯერ თერთმეტ-თორმეტი წლისა იყო, ოთხი ძმა სხვა ჰყვანდა, ერთიც დაიკო. მერმე როგორ ღვიოდნენ წვრილფეხობის მშობლები! ეს იყო მიზეზი, რომ გიგოს სახელი დაუვარდა, ბედნიერი ოჯახისა არისო.

თითონ ბალღიც მიმზიდველი იყო. ნაქვთად კარგი, ეშხიანი; ცეცხლმფრქვეველი თვალები აზრიანი; მოსიყვარულე გული ალერსიანი; გამარჯვებულად სწავლა სკოლაში. რჩეული ბალღი იყო. უბნის უბრალო ხალხი ალერსით უყურებდა მალხაზს. სოფლიდან იყო; ხელმოკლე ადამიანის სახლში სცხოვრობდა, ნათესავის კერაზედ. მისი იქ ყოფნა დაბეჩავებულ თვისისათვის რომ ხელსაყრელი იყო, ბალღისათვისაც კარგი გამოდგა. უცხოობას არა გრძნობდა გულკეთილი დიასახლისის ხელში.

ერთობ სუფთა ქცევა-ზნეობისაც იყო ბალღი:ახალი იაკობ-რახილი თვალის გუგასავით უფრთხილდებოდნენ თავიანთ ლამაზ კერას, იქ ვერ გაიწაწანებდა ზნეობის შემლახი სიტყვა თუ ქცევა; მათ სახლში დაევანნა უმანკო ნათელს მხიარულს და პატარასაც იგი ნათელი ჩაჰქარგოდა ბუნებაში. მიტომ უმზეროდნენ მას მახლობელნი ლამაზი ღიმილით. ყისმათიანიც იყო: უბანში რამდენიმე პატარძლისათვის შემოერტყა მას სადედოფლო სარტყელი და ყველას საბედნიეროდ მოახდენოდა მისი ხელი: უკვე ოქროსქოჩრიანი ვაჟები ეჭირათ ხელში, სხვებსაც მოელოდნენ.

რა ვუყოთ, რომ მჭვირვალიანი დიდი დიდკაცები იყვენ?! მაინც ქართველები იყვენ, ქართულ ჩვეულებათა მიმდევარნი; თუნდაც საწყალ ხალხში ფეხმოკიდებულ ჩვეულებათა.

* * *

გიგოს სახელი მჭვირვალიანთ მანდილოსნებსაც გაეგონათ: მოსარეცხე, პურის მცხობელი, მეუმარილე. პირის მკეთებელი სულ იმ უბნიდანა ჰყვანდათ და ქუჩის ამბებს რომ უამბობდენ ისინი დიდებულ დიასახლისებს, ბალღსაც ახსენებდნენ, ქებით იტყოდნენ მის სახელს. ეხლაც პირის მკეთებელმა სალომემ ურჩია დიდ ქალბატონს, გოგოსათვის ებრძანებინა, სარტყელი შემოერტყა პატარძლისათვის.

„ბედნიერი ხელი აქვს იმ ბავშვს! ნაცადია: იმან შემოარტყა სარტყელი მკერვალიანთ კაკატოს, წოწოქაანთ ანოს, ღორისკუდაანთ ბაბალეს, ყრუმატიაანთ ქეთეთოს. ყველანი ბედნიერი დედები შეიქმნენ: წლის თავზედ მარწყვივით ვაჟები ეჭირათ ხელში,ხომ ჰნატრობ, ქალბატონო, ამ შენმა ციაგამ შვილისშვილს შეგასწროს, ბედნიერი დედა შეიქმნას?

„ჩემი ოცნებაა ეგ!

„მაშ უბრძანე, ის ბალღი მოიყვანონ, იმან შემოარტყას სარტყელი.

„აქვს რამე სუფთა ტანისამოსი, რომ ამოდენა სტუმრობაში...

„რა ბრძანებაა! არც ისეთი ღარიბია. სუფთა ხალათი, შალვარი, წუღები... თქვენც კი მოგეწონებათ, იხეთი გვრიტივით ვაჟია, ეუბნებოდა დედაკაცი.

და თან პირს უკეთებდა მზეთუნახავს, შიგადაშიგ სიტყვის შეწყეტა უნდებოდა დედაკაცს: მუშაობის დროს ძაფის ერთს წვერს პირში იჭერდა,

„როგორ თუ პირს უკეთებდა?!

„არც ეგ იცი?! ეჰ, გასაკვირველიც არ არის: მთლად დაივიწყეს პირის გამოქნა... მისმინე! მაშინ ქალის სახის მორთულობად არ ითვლებოდა ბალანი. გამჩენს ქალი პირტიტველი გაუწესებია, ვაჟი პირბანჯგვლიანი. სადაც ბუნება გარეწრობას იჩენდა და თვის კანონს თითონვე არღვევდა, იქ ხელოვნება აწორებდა მის შეცთომას: მტკიცედ გრეხილი ძაფი ნახვეწი ძირიანად აგდებდა ბეწვის ნასახს ლამაზის სახეზედ. რა დახელოვნებული იყო სალომე! მარდად, სუფთად, უწიწკნელად; წარბებსაც აუვლ-ჩაუვლიდა გადაგრეხილი ძაფით, რომ ბეწვს განზედ არ გაედგა ფესვი და გიშრის მშვილდთა მოზიდულება არ ეუშნოებინა, ვუჯექ მუხლის ძირს და შევცქეროდი. ეხლა რა! ვაჟნი მთელ სახეს საქალამნესავით იფხეკენ, ქალნი პირის ბუსუსს თვალისჩინივით უფრთხილდებიან და ამრავლებენ.

„ცდილობენ, აქაც ქალ-ვაჟთ თანასწორობა დაამყარონ.

„ან რა ქმნან: განათლებული ევროპა ეგრე იფხიკება. ხელსაყრელიც არის: ახალი მოსჩანს ვაჟკაცი, ჯერ ისევ პატარა.

„მაინც ვფიქრობ, ვერძს რქები აშვენებს, ვაჟკაცს წვერ-ულვაში რქათა ბადალი...

„ჰო და სალომეს გაეკვლივნა გიგოსათვის გზა მჭირვალიანთ სასახლეში. მეუმარილე მართაც მიაშველებდა.

* * *

გაჩირაღდნებული სავანე დიდებულთა. ჭაღები, ვერცხლის შანდლები, წვიმაღალი ლამპრები. მთელი იატაკი ორხოებით მოფარდაგული. კედლები დიდრონი სურათებით მოფენილი. ხავერდის სავარძლები, სელები; შირმაითა მოოქვილი სკამები. სხვა და სხვა ჯურის მაგიდა თაიგულებით დატვირთული, ლამაზ ლამაზ მაშრაფებში ჩადგმულ ყვავილთა კონებით. ვერცხლის სურები, თასები, ფიალები, ჩოგრათოები. ზეკაცთა სადგომი სამოთხისებური. რა შრიალა ტანთსაცმელი! მანდილოსანნი, ქალ-რძალნი პირადპირადად შემკულნი. ჯინჯილ-დეზებიანი რაინდები მზაროქროიანნი და მათ შორის რიხიანი ბატონი ბაგრატა ყურთმაჯებ გადაყრილი. განა ერთი ოთახი, მთელი წყობა სხვადასხვა გემოზედ მორთულ დარბაზისა, გალიაკებისა. სუნი სუნნადსუნნელი. საიდანღაც საკრავთა ჟღერა. ტკბილი ღიღინი.

„აქათ, ბალღო, აქათ! მე მომყევ. როგორ აცაბაცა მიგირბის თვალები. აგერ თითონ პატარძალიც. მიდი!

მიდიო! დააბნია ბავშვი უნახავმა სიმდიდრემ მრავალგვარმა, ამოდენა ბატონებისა და ქალბატონების ყრილობამ. მიდიო! კინაღამ მთლად შეკრთა და შეშინდა ბალღი.

„რა პირით ღა ვეჩვენო ჩემებს, გაურბინა ელვასავით ფიქრმა.

დაეხატა გონების სარკეში სანდომი სურათები თავის მეგობრებისა, ქუჩაში რომ იყვნენ ეხლა შეჯგუფილნი და შიშით თუ ცნობისმოყვარეობით ელოდნენ თავიანთ გიგოს: იცოდნენ ლამაზებმა, რა ძნელი საქმისათვის შეაგულიანეს ის.

„იცი, გოგოჯან, ისე მაკანკალებს, თითქო იანვარიაო: გიგოს მაგივრად მე მეშინიან.

„მე ვერ შევბედავდი სასახლეში, ფეხსაც ვერ შევდგამდი.

„მეტადრე ეხლა, როცა ამოდენა ხალხი შეყრილა იქ, სულ დიდკაცობა.

„მართლა კი არ შეშინდეს ი ბიჭი, ხელი არ აუკანკანკალდეს, რასმე არ დაეჯახოს.

„მეფიქრება, არაფერზედ გაურისხდეს დიდი ბატონი: ჯავრიანიაო, ბოროტი.

ტყილადა შიშობდნენ კარგები: მათმა სახემ გაამხნევა გიგო, ერთს წუთზე შესდგა პატარძლის წინ შემკრათლი—აღელვებული, მაგრამ მაშინვე შეიბერტყა, ქოჩორზედ ხელი გადისვა, თავი მოიმამაცურა და წარსდგა ბიჭი. დაჰკრა თვალი ციაგას. სხარტი ქალი, ტანწვრილი, მაღალმაღალი. მშვილდივით წარბები. შავი თვალები დიდრონ დიდრონი. კეხიანი ცხვირი...

„მაინც ნუშა გჯობია, ლიზაც, ეონაც, გაიფიქრა პატარამ.

დედოფალი მთლად ფარჩაში იჯდა სირმანაკერში. ელავდა თვალმარგალიტით მოოქვილი. კაბის წინკალთა შეტაცებით იდგა, პაწაწა ფეხი მოსჩანდა მაღალ ქუსლიან თეთრ მაშიაში. ქალმა ალერსიანად დახედა პატარას. მოწყალე თვალმა ოდნივ მოღიმარემ გაამხნევა ბიჭი.

„სარტყელი! ბრძანა ქალბატონმა.

მოიღეს სარტყელი და რა სარტყელი! უბრალოსა ჰგვანდა ერთის შეხედვით იგი ფასდაუდები: უმანკო თეთრი ქსოვილი აბრეშუმისა, მჭიდროდ ნაქედი, მძიმე; სარტყლის ტოტებზედ ამოქარგული გაშლილი რტონი ყვავილოვანნი, ოდნავ დახრილნი; მთელი რტო,—ღეროც, ფოთლებიც, ყვავილებიც,—მარგალიტის შეფარდებული მარცვლებით გამოყვანილი, დიდის გემოვნებით ნახელოვნები.

თვალი მოსტაცა პატარას სარტყელმა, სხვა ყველა სანახავი დაჩრდილა. იქნება იმისთვის, რომ მხოლოდ ამ სარტყელთანა ჰქონდა მას საქმე, მარტო მან შეადგმევინა ფეხი დიდებულ სახლში.

„ბედნიერი ხელი გქონია, ბალღო; აბა შემოარტყი ეს სარტყელი ჩემს ქალს, კეთილი უსურვე. გამხნევდა ვაჟი. თამამად ჩამოართვა სარტყელი, მიუახლოვდა ქალს, შემოავლო წელზედ მკლავები. ძალიან ახლო მოუხდა მისვლა, სახე შეახო მკერდს: პატარა იყო, შორიდან ვერ შემოაწვდინა მკლავები.

„სიხარულიმც შემოგერტყმება ახალ ცხოვრებაში! წარსთქვა დასწავლილი სიტყვა, არა ერთხელ განმეორებული.

„აი გაიხარე!

„მართალი თქვეს, ჭკვიანი ბალღიაო.

„დაბალ წოდებაშიც გამოდის შიგა-და-შიგ შესამჩნევი ყმაწვილი.

„უბნის საყვარელი ბავშვიაო.

„ტოლსწორს ხომ უყვარს, დიდრონებსაც შვილივით მიაჩნიათო.

„აი, პატარავ, ეს საკუთრივ შენ! ეს კი შენც გეყოფა, შენ ტოლ-ამხანაგებსაც, უთხრა ქალბატონმა.

და ერთს ხელში ოქრო ჩაუდვა, მეორეში ქაღალდის პარკი მისცა პირამდისინ შაქარლამით სავსე.

„ესეც ჩემი მხრივ! უთხრა სხვამ.

და ჯიბე-უბე აივსო ლანგრებიდან აღებულ ხილეულობით.

„ბიჭო, პატარავ, აბა ერთი შემომხედე! უბრძანა დიდმა ბატონმა.

და ნიკაპი აუწია ორი თითით.

„კარგი სჩანხარ! აი ესეც ჩემი მხრივ! უთხრა.

და სხვა ოქრო ჩაუდვა ხელში.
აღარ ახსოვდა, როგორ გამოიარა იმოდენა ოთახები. ჩამოაცილეს კიბეზედ. გამოხტა ქუჩაში გაჭარხლებული. ჰკითხავდნენ. ეტყოდა. არ აცლიდნენ. ერთი საგნიდან მეორეზე ხტებოდა; ერთი აზრიდან მეორეზედ ფრინავდა ფრთიანი სიტყვა. რა უშავდა! ყველა საგანი კარგი იყო, სურათთა ყველა ნატეხი თვალთწარმტაცი. დაურიგა ნაშოვარი. დიდრონებსაც გულმა ვეღარ გაუძლოთ: მივიდნენ, ჰკითხავდნენ, აქებდნენ. მათაც ერგოთ სატკბარუნები.

* * *

ახ, რა კარგი დღე იყო იგი დღე გიგოსთვის, ლამაზი, ბედნიერი! განა ბევრი არის ადამიანის ცხოვრებაში ამისთანა შემკული ჟამი! ეწვალებ-ეწამება იგი მთელ თავის სიცოცხლეში, საკუთარის მარჯვენითა ჰკაფავს გზას ეკლიან სავალზედ თვისის ყოფისა, უდიერის შრომით აპობს მის წინ გადახირულ საბრკმელთა სიმრავლეს.
რამდენჯერ დაიკენესებს იგი ტვირთ-მძიმე რკინის უღელ ქვეშ, დაჰგმენს უჩუმრად; რამდენჯერ დაიმუხლისთავებს მიწამდინ დაზნექილი. ზევე აღსდგება! იბრძვის უტეხი! მაინც ისევ სისხლზედ ზელილი პური უდევს ხალთაგუდაში ცალიერი, უსატანო; მაინც საოცნებო რჩება მისთვის რძეზედ მოზელილი პური, სანატრი.
და გამოჰჟურავს იგი ცხოვრება მთელ მის არსებას. ჩაუნელებს და ჩაუქრობს მის გონებას ლამპარს მანათობელს, რომლის შუქს მისდევდა გულუბრყვილო, რომლის მიწდომას ოცნებობდა გამოუცდელი; წამოუცალიერებს გულს, გრძნობის შესაკრებელს, მისთვის თურმე არ დაწერილ ლამაზ გრძნობებისა; უხეშად გადაზნექს მის ნებისყოფას, მთლადაც გადაჰფშვნეტს მის სურვილთა თუ მისწაფებათა მისაყრდნობელ სვეტს და უძლურ შეჰქმნის კაცს მსახურებად სინათლისა. საფუძვლით შეარყევს ბრძოლის კოშკებს მის სულიერ აღმოფრენათა და იმ გოდოლთა ნალეწ-ნამსხვრევებით დაჰფარავს მის ჭრელფრთიან ოცნებებს სანატრელთ.
და ცხოვრების იგი სიმძაფრე არ იკმარებს მისი სულის გაპარტახებასა, იავარ-ქმანას მის ნათელ აზრთა, ლამაზ გრძნობათა თუ კეთილ მისწრაფებათა. სევდის მგვრელ სახედ გადაეფინება ნივთიერ მის არსებასაც: გმოაჭურავს მას, ღალას დაუნთქავს, ჩვილ ტანს გაუშრობს, გაუგმობს; დააჭნობს მის ღაწვზედ გიშლილ ვარდს მაისისას; ყორნის ფრთის ფერს თმასა ცივად დაუთრთვილ-დაუთოვლავს; ჩაუნელებს თვალთა სინათლეს, ჩაუნავლავს და ჩაუქრობს მუნ გზნებულ ცეცხლს ტკბილად დამწველსა; მოხრის სარო ტანს, მოსტეხსცა იმას, სამით ატარებს; დაჰღარავს მის შუბლს ოდესმე მტკიცეს და...
და გადასტყორცნის კასკას — ხარხარით თვით უფსკრულში საზარელის არარაობისა... ესე ახლა სხვას, ესე კვლავ სხვასა, ესე სიმრავლეს უთვლელს, უამრავს...
და შეგხვდება მოძრავ ჩონჩხად იგი სამიწედ გამზადებული, ოდესმე სიცოცხლით სავსე, კეთილ ძალთა სავანედ წარმოშობილი. ის არის, მაინც ის არ არის! მოდის, გიღიმის; შენც უცინი; გეტყვის რასმე, სიტყვას გამოგითამაშებს, შენც მიუგებ, თქმასვე გადუღვნი; მაინც იცი, ის არ არის, თუმცა იგია: ლანდია მისი უშნოდ ნაღრეჯი...
და გისევდიანებს გულსა უბინდოს, ჩამოგიბინდებს ნათელსა დილას...
ნახე წალკოტში ყვავილთა კორდი ზამთრისა სუსხით ნახრობ-ნაშალი. აგტკივა გული: აღარ დამრჩალა არც ნასახი მათ სიტურფისა. აგერ გამხმარა, მტვრად ქცეულა ლაღი ზამბახი; აჰა ჩამპალა ეს სუნნელი ტურფა ბილილა...
ამაო ამაოებათა! მაგრამ...
სისაძაგლე იგი მოოხრებისა! მაგრამ...

* * *

„გამარჯვება, დათიკოჯან!
„გაგიმარჯოს, ჩემო გიგო!

„ხომ თითქმის ყოველდღე ვხვდებით ამ გზაზედ ერთმანეთს, მაინც ეხლა ვინატრე შენი ნახვა და ამისრულდა.

„ბედნიერი წუთი! ნეტა სხვა რამ კარგი გენატრა, თუნდა „თეთრით გუდა გუდაზედა“. მაინც? შევდექ. აღელვებული მეჩვენა გიგო: თვალები უელავდა, წყნარად ვეღარ იდგა, სახე უთამაშებდა. გავკვირდი.

მე და გიგო ერთი კბილისანი ვართ, ერთ უბანში გამოზდილები. ორი სასწავლებელი გაგვითავებია ერთად, ერთ მეორეზედა. მეგობრები ვართ. ერთმანეთშიც კი დავდიეართ ათასში ერთხელ. ძალიან ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, თითქმის ყოველ დღე: ის რომ აღმა მიდის სამსახურში, მე დაღმა მივდივარ სამსახურშივე; ის რომ დაღმა ბრუნდება შრომიდან, მე აღმა ავსდევ გზას ბინისაკენ. გავუღიმებთ ერთმანეთს, სიტყვას გადუგდებთ, გვიამბაა: განა ბევრი ღა შეგვრჩა გარშემო ჩვენი ხნის მახლობელი.

შემჭკნარ-შემხმარი კაცია. ჩანაოჭებული ყვრიმალზე თუ ლოყაზე მიწის ფერი ასდევს წალურჯო. ქეჩოზედ-ღა შერჩენია თმა, შუბლი და ქალა მოლიპილი აქვს. არა თოვს, მაინც თეთრად არის გადაბარდნული. წელში მოხრილა მკვიდრად ნაგები. სადღა არის მისი მოხდენილი რონინი?! სამით მოდის, მძიმედ მოაბიჯებს, რყევით. ჩამქრალი თვალები. ზრუნვის ხაზები ნაკეც შუბლზედა, საყოველდღეო დრტვინვისაგან ნაწურ ადამიანის მანიშნებელი ფიქრის ღარები.

რა ოცნებებს ევლებოდა ოდესმე თავს! რა ნატვრის ყვავილებს ეწვდებოდა მოსათვლელადა! იმ სუნნელოვან მდელოთაგან ჭლამოდა ლამაზ თაიგულის შეკონვას, ტურფა სამშობლოსთვის რომ ჰსურდა ესროლნა საყვარელ გულში მისდამი გამიჯნურებულს. დაცრცნილ-დაბებკილი ჩანთა გადასაწერ ქაღალდებით სავსე, მჭადის ფასს რომ მიუპყრობს, იმ ეტრატებისა. ნუ თუ ეს ღა დარჩა სხივის ნატეხივით მოციმციმე ბალღისაგან, ცეცხლის ბირთვივით მცხინვარე ჭაბუკისაგან?!.. ესე ღა დაგვრჩა სანაცვლოდ იმ იმედისა დიდისა...

„გცალიან? შეგიძლიან ნაეევარი საათით შეიფერხო?

„არა მცალიან... შემიძლიან... მითხარ!

„წამო, გიჩვენო რამე. დეე დაგვიგვიანდეს.

„იარე!

* * *

დავბრუნდით. ჩავიარეთ ქუჩა. შესახვევში დიდი მაღაზია იყო, მდიდარი. ყველა ნაირი ნივთი ელაგა ფართო ფანჯარაში, ძველის ძველი სიმდიდრე საოჯახო. ხმალი, ვერცხლის ჩარჩოიანი სარკე. ვინ იცის რამდენი ტურფა სახე იყო მის მინაზედ აღბეჭდილი, ქარვის კრიალოსანი ოქროს ღილებ ჩართული, ფარჩის საბანი აბრეშუმის ყვავილ შეყრილი, მუზარადი წარწერით, ხმლის ფხა რომ ეტყობოდა შუბლის ისართან... ვინ მოსთვლის?! ზოგი ისეთი განძი მოჩანდა, საშვილიშვილოდ რომ გადადიოდა ოჯახში საუკუნეთა განმავლობაში. იცი შენ, რა ღვარმაც გამოიტაცა ეს მძიმედ დაცული სიმდიდრე სალაროებიდან, დუქნებში გამორიყა; კარგად იცი! ისეთი ძალა მოიპოვა მჭადმა, ველარაფერი გაუმაგრდა მას, ცხრაკლიტული რკინის კარები ჩალეწა მისმა ძლიერებამ და წამოაცალიერა ურყევი საგანძურები..

რა ვუყოთ! ახლად დავიბადენით ისტორიულად და ავი არ უნდა გვიკვირდეს დუშმანისაგან აკლებულ-მისუსტებულთ, სიკვდილის პირად მიტანილთ. წამოვჯობინდებით, მუხლს მოვიმაგრებთ, დავმშვენდებათ რიხით, სიძლიერით, შემმართებლობით და...

და უკეთეს განძეულობას შევუკრებთ ერსა, ნივთიერ თუ სულიერ სიმდიდრეს. ამირანიც ხომ თვალ დაზიანებული გამოვიდა ვეშაპის გვამიდან, წვერ-ულვაშ გაცვივნული. ტყუილანაღვლობდა კარგი ქართველი, ამაოდ წყრებოდა: მტრისავე ფილტვის ნაკვეთით გაიმთელა თვალი; იგრი-ბატონის ჯადო-წყალი რომ გადაივლო, ჯალჯი თმა ლომის ფაფარივით გადაგ-

ფინა, ყორნის ფრთასავით შავმა წვერ-ულვაშმა რიხი უორკეცა შავ ღრუბლის მზგავს შესაზარ ვაჟკაცს.
„დახედე! დაათვალიერე!
„კაცო, ამის გულისათვის როგორ წამომიყვანე და მომაცდინე?! რამდენჯერ დამითვალიერებია...
„გასინჯე მეთქი, ძალიან ძვირფას რასმე შეჰნიშნავ.
ავათვალ-ჩავათვალიერე.
„სულ ყველაფერი ძვირფასია. რომელს დავადვა ხელი?!
„ეჰ, ერთი შეხედე ამ სარტყელს...
„ძალიან ლამაზია. ეშხით არის ნაკერი, დიდის ხელოვნებით. მართლა და რა ძვირფასია!
„ჩემი ნაცნობი განძია, ბალღობიდან ნანახი; ხელშიც მჭერია.
გაკვირვებით შევხედე: ვინ გიგო, სად ესეთი განძი ფასდაუდები?!
„არა გჯერა? გიამბობ!
და მიამბო ყველაფერი მჭვირვალიანთზედ, ციაგაზედ, სარტყლის შემორტყმაზედ.
„ფული მქონდეს, უთუოდ შევიძენდი.
„კარგი მასალა გკლებია! თანხა მქონდეს, იცი მე რას ვიყიდი? ვუთხარ და თითებზედ ჩამოვუთვალე, რასაც მოვივაჭრებდი. ძალიან მოეწონა, სულ ელეტ-მელეტი მოსდიოდა; თვალი მაინც იმ სარტყელისკენ ეჭირა, იმ სადედოფლო სამკაულისკენ. ამაოდ: ვინ შესწვდებოდა?! გულში ჩამეჭრა, მენახა სარტყელის გამყიდავი. ვკითხე სოვდაგარს. დედაბერმა მომყიდაო; არ ემეტებოდა, მაგრამ მეტი გზა აღარა ჰქონდაო. მანიშნა. უთუოთ ვნახავ.

ᲥᲣᲬᲘᲐ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ

თეოდორე დოსტოევსკი

დოსტოევსკიზე გოეთეს სიტყვები ზეგამოჭრილია: ხელოვნება განხარისხებული დემონიურობაა. დოსტოევსკიც განხორციელებული დემონიურობაა, დემონიურობის მაქსიმუმი, ადამიანის პირით მეტყველი. უფრო მეტი. იგი დემონია ადამიანურობის სალტეებით შებოჭვილი. ბრძოლა მარად ადამიანურ და მარად დემონიურ ელემენტებს შორის, ეს არის ატმოსფერა დოსტოევსკის გენიის ზრდისა. დემონსა და ადამიანს შორის ბნელი ქაოსია, დემონიურსა და ადამიანურ მიჯნას გადამცდარი ადამიანი ეს არის გმირი დოსტოევსკისა.
შეხედეთ მის სახეს. მთელი ჩვენი საუკუნის ტკივილებს იქ ნახავთ. ჩაიხედეთ მის სტრიქონების ორლობეებში, ჩაიხედეთ მის ნოჭების არეებში, თქვენ ნახავთ რა ღრმაა ქვეყნის ტკივილი, ნახავთ რა მძიმეა ჯვარი განგების ხელით რო დაეტვირთება ამ ქვეყნად ისეთს ადამიანებს, რომელნიც მარიონეტივით ჰქანაობენ ღვთაებრივსა და დემონიურს შორის.
სევდით დავსილი თვალები მისი, ელავენ დემონით შეპყრობილ ადამიანის ტანჯვით. მისი მაღალი შუბლი, ფრთიანი არწივისებური აზრების საბუდარია. მისი ეპილეპტიური კონვულსიებით მოკუმშული ტუჩი მე შოპენჰაუერის ნერვიულად მოკუმულ ბაგეს მომაგონებს. რამდენი რა ჰქონდათ ორთავეს სათქმელი და რა ცოტა სთქვეს შედარებით. ქვეყანაც იმიტომ იტანჯება ასე უღმერთოდ, რადგან ნაგრძნობი სჭარბობს ნათქვამს მუდამ.
ასი წლის წინად მოკვდა იგი. ამ ქვეყნად სამოცი დაჰყო მან. ვინ დატანჯულა მასავით მწარედ. ეგებ იესო, ჩვენი მიწიერი ტანჯვა რო იტვირთა და ჯვარზე ავიდა ისე, როგორც არც ერთი გვირგვინოსანი ტახტზე. ეგებ ფრიდრიხ ნიცშე, დიდი ანტიპოდი ნაზარეველის, ანტიქრისტე და ჯვარცმული დიონისე. და სადაც ნიცშეს წმინდა სახელი იხსენება, იქ იხსენება

დოსტოევსკის სახელიც, რადგან მასზე სთქვა ნიცშემ: „ერთად ერთი ფსიქოლოგი, რომელმაც ცოტა რამ მასწავლა მე“.
ვინ არ ისწავლის მისგან!
მან მთელი ჩვენი საუკუნის ტკივილები საუკუნით ადრე არ გამოჰხატა. „მოჰკალ ეგ მდიდარი, კრიჟანგი ბებერი“ ასე უკარნახებდა რასკოლნიკოვს თავისი სინიდისი.
მისმა რუსეთმა ეს კბილებ ჩამღვრძვალი ბებერი მოჰკლა, მაგრამ განა ჩვენ საუკუნე ტვირთი შეუმსუბუქდა? განა ნათელ მოსილი სიმშვიდით არ შემოგვნათის დღესაც ნაზარეველის სათნო აღთქმა: „ბოროტებას წინ არ აღუდგე“, რადგან თვით ბოროტებაც ისე აუცილებელია ადამიანურ ცხოვრებისათვის, როგორც ღმერთ შეყვარებული სათნოება? მასავით არავის უგრძვნია ის საშინელი კონფლიქტი ადამიანურ საზოგადოებისა, რომელიც განადგურებას უქადის ჩვენ თანამედროვე კულტურას.
„ეს მართლაც ღრმა ადამიანი ათკეცად მართალი იყო, ამბობს ნიცშე. მართალი იყო დოსტოევსკი როცა მასში გრძნობა და წინასწარგრძნობა მეტყველდებოდა. ხოლო გონკური: დოსტოევსკიმ თავისი ეფექტები ფრანგულ რეალისტურ რომანიდან ისესხა და მერე თავისი ნაწერები აავსო, აავსო ედგარ პოეთი
განა მარტო პოეთი? დოსტოევსკიმ რუსეთით, ქლექით, სპლინით, შიმშილით, სიგიჟით და ეპილეპსიით აავსო თავისი ხსოვნათა ურნა.
ეპილეპტიკი და ენა დაბმული მისტიკოსი. ამორი და პსიხე, დეკადანსი და გარიჟრაჟი. ერეტიკოსი და ღმერთის მაძიებელი, ქრისტე და ანტექრისტე. ყველაზე უწინ დიდი ინკვიზიტორი. ესაა დოსტოევსკი. სულ ყველგან კონტრასტები, ყველგან გოეთესებური პოლარულობათა ჭიდილი. და ამ საშინელ მსოფლიო კონტრასტების სტიქიონურ ჭიდილის გამომხატველი ხელოვანი, რომელმაც ქვეყანა „ყვითელ სახლში“ გადაიტანა, იყო თვით დოსტოევსკი. ამ ყვითელ სახლში ნახა მან ალიგიერი დანტეს L'inferno. საქმეც ის არის ამ ქვეყანაზე იარო ადამიანური სამოსით და ადამიანურად მგრძნობიარე გულით, ხოლო მისანისა და ნათელ მხილველი თვალით იხილო ჯოჯოხეთი სულიერ წარღვნათა და ცისკარი განწმენდის მთათა კიბეებზე გარდმომდგარი. რა დიდ იყო დოსტოევსკი როგორც ხელოვანი, რა მარტივი მისი ადამიანური ცხოვრება! ეპილეპტიკი. რედაქტორი. მშიერი სტრიქონების შეეყურე მწერალი, რომელიც ავანსების მიღებამდის სჭამდა ავანსებს. ჟურნალისტი და კატორღელი. უმართებულოდ დასჯილი, მაგრამ მაინც დამნაშავე, რომელმაც კაცის მკვლელის გამართლებაც კი მოინდომა მაღალი აზრის სახელით. მაკიაველი ადამიანურ მორალში და ამორალისტი Par exellence. მაგრამ მაინც კაცი. რომელიც ზეკაცისთვის ქოხს აშენებდა ამ ქვეყნად და ამიტომაც გვიყვარს იგი ჩვენ.
ჩვენ გვიყვარს ის, როგორც ადამიანებს და როგორც ქართველებს, თუმცა პანქართველიზმი და პანსლავიზმი შეუთავსებელი მცნებებია.
დიდ ადამიანებს ხშირად დიდი შეცდომებიც ჰშვენის, შვენის მაგრამ ეს არ ამართლებს მათ. მისი პანისლავიზმი ისეთივე აბსურდი იყო, როგორც მთელი მისი კულტურ-ფილოსოფია. მას გულწრფელად სჯეროდა რომ სლავიანელები ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ‘ რადგან ისინი ყველაზე წინ მიდიან (sic). ევროპის დიდ ცივილიზაციაზე და კულტურაზე მას ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მან ვაგნის ფანჯრიდან დაათვალიერა გერმანია, შეიკარია, ერთი ღამეც ფლორენციაში და ორიოდე კვირა ლონდონ სიტის მიდამოებში და უკვე მზად იყო ზღაპარი „კბილ ჩამღვრძალ ევროპის შესახებ“.
მას არ უნდოდა ანგარიში გაეწია იმ დიდ არტისტიულ და ეთიურ კულტურისათვის, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელნი იყვნენ დანტე და გოეთე, შექსპირი და მიქელ-ანჯელო. მისი დიდი თანამემამულე ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ქედი მოედრიკა ამ სახელების წინაშე.
მაგრამ ჩვენ გვიყვარს არა დოსტოევსკი რომანსიე (მისი რომანი დღეს უფორმო ჟურნალიზ-

მად მოგეჩვენებათ, არც თუ დოსტოევსკი სტილისტი, იგი ბლუკუნა გენიოსი იყო შექსპირთან და დანტესთან შედარებით. არც თუ დოესტოევსკი ჟურნალისტი დილეტანტურად გადამჭრელი დიდი კულტურ-ფილოსოფიური პრობლემებისა, არამედ დოსტოევსკი კოსმიურ პრობლემების დამყენებელი, დოსტოევსკი რელიგიური გენიოსი, დოსტოევსკი მისანი და ნათელ მხილველი, მამამთავარი და წინამორბედი ძლიერი ეთიკისა და მსოფლიო გაგების. ამ პუნქტებში იგი ძმურად ხელს უწვდის ჩვენი თანამედროვეობის შეუდარებელ ჰეროლდს, ფრიდრიჰ ნიცშეს.

და ჩვენ გვიყვარს ახალი სულისა და სამყაროს ახალი იდეების მახარობელი დოსტოევსკი, რომელიც იტყოდა: „შემდეგ მოვიდის ცხოვრება ახალი, ძე კაცისა ახალი, ყველაფერი ახლად იქნება, შემდგომად დაჰყოფენ მსოფლიო ისტორიას ორ ნაკვეთად: გორილადან ღმერთის დამხობის დღემდის, ხოლო ღმერთების დამხობიდან მიწისპირისა და ადამიანობის მოდგმის ხელახალ ფერისცვალებამდის. და კაცი გარდიქმნება ღმერთად და ფსიქიურად ფერს იცვლის, სამყარო, ქცევანი და მოქცევანი, აზრნი და გრძნობანი ადამიანობის მოდგმისა იცვლიან სახეს“. ამ დიდი მსოფლიო მეტამორფოზის მახარობელ დოსტოევსკის ეკუნენის ჩვენი ღრმა ფიქრი და სიყვარული, მისი დაბადების ასი წლის თავზე.

ტფილისი 1922 წლის იანვრის 5-ს.

ხელოვნების ამბიანი

საქართველო

აკაკი წერეთლის სახლი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა თავისი მიმართვის პასუხად (იხ. „ლომისი“ № 1) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან შემდეგი პასუხი მიიღო: თქვენს მომართვაზე აკაკი წერეთლის სახლის დაცვის შესახებ, კომისარიატი გაცნობებთ რომ ჩვენს მიერ გაცემული არის სასტიკი განკაოგულება შორაპნის რევკომისადმი აკაკი წერეთლის სახლკარის აღრიცხვიდან ჩამოხსნისა და დაცვის შესახებ“.

აკაკი წერეთლის ანდერძი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა მის მიერ აღრძულ შუამდგომლობის შესახებ (იხ. „ლომისი“ № 1) რათა სისრულეში იქნას მოყვანილი აკაკის ანდერძი, განათლების კომისარიატისაგან მიიღო შემდეგი პასუხი: „განათლების გომისარიატი გაცნობებთ რომ აკაკის მამულში სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი გაიხსნება მომავალ წლიდან“.

სრულიად საქართველოს მწერალთა ანკეტა მწერალთა კავშირის საბჭომ დასაბეჭდათ დაამზადა საანკეტო ფურცლები, რომელიც ამ დღეებში დაურიგდება კავშირის წევრებს შესავსებად.

ქართული ლიტერატურის გავრცელება. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რკინის-გზების სამმართველოს წინაშე რომ მას იჯარით გადაეცეს რკინის-გზის ყველა კიოსკები ქართული ლიტერატურის გავრცელების სათანადო დონეზე დასაყენებლად.

ლიტერატურული ხუთშაბათები. 5 იანვარს ხელოვნების სასახლეში შესდგა მორიგი (მეშვიდე) ხუთშაბათი: ობოლი მუშა—პროლეტარული პოეზია.

ვასო აბაშიძის იუბილე. 15 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართება ვასო აბაშიძის 50 წლის იუბილეჲ.

დანტეს საღამო. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო იანვრის 12,დანტეს გარდაცვალების 600 წლის თავზე გამართავს საზეიმო მერვე ლიტერატურულ ხუთშაბათს, რომელზედაც მოწვეული იქნებიან აგრეთვე საპატიო სტუმრებიც.

ხელოვანთა კომიტეტი. მოხდა ქართველ ხელოვანთა მთავარი კომიტეტის რეორგანიზაცია შემდეგ საფუძველზე: ხელოვანთა კომიტეტის საბჭო შესდგება ცამეტი კაცისაგან: 7 ადგილი დაეთმო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს, რომელმაც თავისი მხრით სამი ადგილი დაუთმო ახლად დაარსებულ ასოციაციებს. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე—პოეტი კოტე მაყაშვილი.

ი. გრიშაშვილის წიგნი. გამოდის მეორე ტომი ი. გრიშაშვილის ლექსებისა.

ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო შალვა კარმელის ლექსები „ბაბილონი“ და რაჟდენ გვეტაძის „ღამეები“.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირში. საქართველოს მწერალთა კავშირის მესამე კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები:

გამომცემლობის შესახებ: „საქართველოს მწერალთა მესამე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მწერალთა კავშირის საბჭოსი გამომცემლობის შესახებ, აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის არსებული პირობები ვერ აკმაყოფილებენ მწერალთა კავშირის მიერ დასახულ მიზნების განხორციელებას ამ სფეროში. მწერალთა ყრილობა საჭიროდ ცნობს მიეცეს მწერალთა კავშირს უფლება თვით ჩაუდგეს სათავეში გამომცემლობის საქმეს, რისთვისაც შუამდგომლობს რესპულიკის მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს მას სტამბა და სხვა საგამომცემლო ტეხნიკური საშუალებანი“

ხელოვანთა სასახლის ორგანიზაციის შესახებ: საქართველოს მწერალთა ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება მწერალთა კავშირის საბჭოსი ხელოვანთა სასახლის ორგანიზაციის შესახებ დაადგინა: ხელოვანთა მთავარ კომიტეტის მწერალთა კავშირის წარმომადგენელთ ევალებათ ხელი შეუწყონ კომიტეტს, რათა ხელოვანთა სასახლეში ახლო მომავალში გაცხოველდეს მუშაობა და სასახლე გადაიქცეს ცენტრად ქართული ხელოვნებისა და კულტურისა. მწერალთა ყრილობას არა სასურველად მიაჩნია სასახლეში კერძო ბინების არსებობა. მწერალთა კავშირი თავის მუშაობისათვის იკავებს საჭირო ნაწილს ხელოვანთა სასახლის ბინისას. კავშირის წარმომადგენელები იღებენ თავის თავზე მოაწყონ სასახლეში სალიტერატურო საღამოები, ბილიოთეკა-სამკითხველო, მწერალთა სამუშაო ოთახი. მწერალთა კავშირი უფლებას იტოვებს თავის საქმეების ავტონომიურად წარმოებისას და მთავარ კომიტეტში შედის, როგორც თავისუფალი ასოციაცია“.

„რაბისში“ წევრად ჩაწერის შესახებ: „კონფერენცია სასურველად სცნობს კავშირის წევრები პერსონალურად ჩაეწერონ რაბისში“.

სამეურნეო საბჭოს დაარსების შესახებ: კონფერენცია იღებს პროექტის დებულებას მწერალთა საბჭოსთან სამეურნეო საბჭოს დაარსების შესახებ.

უცხოეთი

დანტეს ნეშტი. რავენას ქალაქის თავის წინადადებით დანტეს დღესასწაულის დღეს საფლავიდან ამოიღეს რამოდენიმე წუთით დანტეს ნეშტი, რომელიც 1865 წელს რაღაც მანქანებით საფლავიდან მოიპარეს და იმავ წელს იპოვნეს ისევ.

რიჰარდ შტრაუსს ნევ-იორკში დიდის ოვაციებით შეეგებნენ. იგი მიიღო საპატიო სიტყვით ნევ-იორკის ლორდმერმა.

დოსტოევსკის დაბადების დღე ნოემბერში გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში იდღესასწაულეს. ამ დღეს გამოქვეყნდა ახალი 25 ტომიანი თარგმანი დოსტოევსკის ნაწერებისა.

ლეონარდო დავინჩის დაკარგული ხელთნაწერები, ტაიმსის ცნობით აღმოაჩინა იტალიელმა მეცნიერმა დე ტონიმ.

ახალი ნობელის პრემია, სტოკჰოლმელ გაზეთების ცნობით, დაახლოებით 140,000 ოქროს შვედ. კრონა დანიშნულია ინგლისელ მწერლის თომას ჰარდისათვის.

გერჰარტ ჰაუპტმანს პრაგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურმა ფაკულტეტმა უბოძა ფილოსოფიის დოქტორის საპატიო ხარისხი.

მაქსიმ გორკი, რომელიც დამშეულ რუსეთისათვის დახმარების მოსახვეჭად იყო ევროპას წასული, გერმანიაში ავად გამხდარა.

ვლადიმერ გალაკტიონისძე კოროლენკო. რუსეთის მწერალი კოროლენკო გარდაცვლილა.

ევროპიულ მხატვრობის გამოფენა იაპონიაში. „ფოსიშე ცაჲცტუნგი“ სწერს: დღემდის იაპონია შორიდან უმზერდა მხოლოდ ევროპიულ მხატვრობასა და პლასტიკას. ხოლო ამ წელს ცნობილმა გემების ამშენებელმა კ. მატსუკატამ დიდძალი თანხა გადასდო დიდი სტილის სამხატვრო გალერიის გასახსნელად ტოკიოს ერთ სერზე. მან ამ საქმის ხელმძღვანელად მოიწვია ინგლისელი მხატვარი და გრაფიკოსი ფრანკ ბრანგვაჲნ. ჯერჯერობით ამ გალერეჲაში მოთავსებულია 50 სხვა და სხვა ნაწარმოები. აქვე გამოფენილია დეგასის, კეზანეს, პუპის, დე შაკანის და სხვათა ნახატები.

რ ე დ ა კ ტ ო რ ი:

სარედაქციო კოლეგია

გ ა მ ო მ ც ე მ ე ლ ი:

სრულ. საქართ. მწერალთა კავშირი

წ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000. სტამბა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატ. კავშირისა. პლეხანოვის პროსპ. № 50.